

რამდენიმე არაბულ-სპარსული სამედიცინო ტერმინისათვის „წიგნი სააქიმოს“ მიხედვით

სოფიო იმედაძე, მაია შიშინაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: s.imedadze@hotmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.16>

„წიგნი სააქიმოს“ წარმოადგენს XIII საუკუნის ერთ-ერთ უძველეს სამედიცინო ნაშრომს – საექიმო ხელნაწერს. აღნიშნული ნაშრომი მოიკვლია და გამოცდა ექიმმა ლადო კოტეტიშვილმა 1936 წელს. მკვლევარი ტექსტის დეტალური ანალიზის საფუძველზე აღნიშნავს, რომ წიგნი არაბულ ენაზეა დაწერილი არაბი ექიმის მიერ. ამას ცხადად ადასტურებს რამდენიმე გარემოება: 1. ის არაბული ტერმინოლოგია, რომელიც ტექსტშია მოყვანილი. 2. ტექსტში მოხსენიებული 22 ექიმიდან 13 არაბი ექიმია, 7 ბერძენი, 2 რომაელი და არც ერთი ირანელი. თუმცა, ირანელებს იმ დროს სახელგანთქმული ექიმების საკმაო რიცხვი ჰყავდათ. 3. ტექსტში მოყვანილი ირანული ტერმინოლოგია შემდგომი გადამწერების მიერ არის შეტანილი მომდევნო საუკუნეების მანძილზე, რასაც ამტკიცებს ის, რომ არაბულის ბევრ ადგილას ირანული განმარტებები არ ახლავს.

საექიმო ხელნაწერის პირველი აღმწერი, ექვთიმე თაყაიშვილი, არაბული დედნის შექმნის თარიღად ასახელებს არაუადრეს XI საუკუნესა და არა უგვიანეს XIII საუკუნეს. წიგნი დაწერილია ცნობილი ექიმის, ავიცენას, „კანონის“ ზეგავლენით, მაშასადამე, 1036 წლის შემდეგ. „წიგნი სააქიმოს“ ქართულად თარგმანის თარიღად 1206 წელი მიიჩნევა, ხოლო ავტორად - ხოჯა ყოფილი. იმდროინდელი გაგებით, ხოჯა ნიშნავდა ექიმს, მოძღვარს, მასწავლებელს და დიდვაჭარსაც. ცხადია, ტექსტის თარგმანის მიხედვით, ხოჯა ქართველი საექიმო პირი უნდა ყოფილიყო. მისი ქართული ზნე-ჩვეულებებისა და ენის ზედმიწევნით ცოდნა ეჭვს არ იწვევს.

ექიმ ლადო კოტეტიშვილის მიერ აღდგენილი წიგნი ეყრდნობა XIV–XV საუკუნის ხელნაწერს, რომელიც დაცულია სახელმწიფო მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილებაში N1274 მოცემული ნომრის ქვეშ.

ლადო კოტეტიშვილის მიერ 1936 წელს გამოცემულ „წიგნი სააქიმოს“ ახლავს იუსტინე აბულაძის მიერ დამუშავებული ლექსიკონი. სწორედ ამ ლექსიკონზე დაყრდნობით, ამოვიღეთ არაბულ-სპარსული სამედიცინო ტერმინოლოგია და გადავამოწმეთ არაბულ (მუნჯიდი) და სპარსულ (მოინი, ომიდი) ლექსიკონებში.

ახლატ – არაბ. **اخلاط** იხლატ– ნარევები, ლორწო, ოთხი მთავარი ელემენტი (სისხლი, ზაფრა, ბალღამი და სევდა), რომლებსაც სცნობდნენ ძველს დროში ცხოველის სხეულში (წიგნი სააქიმოს 1936: 302).

اخلاط/aŌlāā – „სხეულის სითხეები“ ძველ ტერმინოლოგიაში: სისხლი, ნახველი, შავი ნაღველი და ყვითელი ნაღველი (მუნჯიდი 2000:413).

اخلاط (axlāt) [არ.] ხველის დროს ბრონქებიდან და მისი ტოტებიდან გამოყოფილი სეკრეტები, ნახველი (მოინი 1375: 174).

ბალღამი – ბერძნულ არაბული **بلغم** ბალღამ – სისველე, ფლეგმა (წიგნი სააქიმოს 1936:303)

არაბ. داء الحية/dá' l Óaya - Ophiasis - რთული ტიპი ბუდობრივი თმის ცვენის. ავტოიმუნური დაავადება (მუნჯიდი 2000:495).

داء الحية (da'ulhaiya) [არ.] დაავადება, რომლის დროსაც სხეულის კანი მთლიანად ან ნაწილობრივ უმაგრდება და ექერცლება. კანი თანდათან ცვივა და პაციენტი გველივით იცვლის კანს (ომიდი 1389: 1069).

დახისი – არ. داء الحية/Paronychia (სენი) ფრჩხილების დაძრობა და დაცვენა (წიგნი სააქიმოდ 1936:307).

არაბ. داء الحية/dá' l Óis Paronychia -ფრჩხილის ირგვლივ ანთება, გაწითლება, რომელიც გამოწვეულია სოკოთი ან ბაქტერიით. პარონიქია – ცელულიტური ქსოვილის ანთება თითის წვერზე ფრჩხილთან ახლოს ან ფრჩხილსა და რბილ ქსოვილს შორის დაჩირქება, შემუშება, რომელსაც ახლავს ძლიერი ტკივილი (მუნჯიდი 2000: 447).

داحس (dāhes) [არ.] ჭრილობა და შემუშება, რომელიც თითის წვერზე, ფრჩხილის გვერდით ჩნდება, =დახეს (ომიდი 1379: 1071).

დიყა – არაბ. دايق – ჭლექი, ცხრო ციება. დიყის ცხრო სამგვარია: ზოფთადიას, დაბულ, დიყი (წიგნი სააქიმოდ 1936:308).

دق (dex(x)) [არ.](მედ.) დაავადება, რომელიც ადამიანს ასუსტებს, ამაბუნებს; ტუბერკულოზი, ცხელება (მოინი 1375: 1542).

ზარირი – ირან. زارير – იგივე იარაყანი. არაბ. زارير – იარაყანი – იყვითლე, სიყვითლის სენი, სოქალი (წიგნი სააქიმოდ 1936:309).

არაბ. زارير/yarqAn - არამეული. ფიზიოლოგიური დაავადება, რომელიც აზიანებს მცენარეებს და იწვევს მისი ფოთლების გაყვითლებას (მუნჯიდი 2000:1567).

زارير (zarir) [სპ.] (მედ.) ნაღვლის წვენი; სიყვითლე (მოინი 1375: 1738).

თაშანუჯი – არაბ. تاشانج – საკ. მოკრუნჩხვა, მოდრეკა, კონფულსია, კუნტების ატროფია (სენია) (წიგნი სააქიმოდ 1936:311).

არაბ. تاشانج /tašanna (მედ.) სპაზმი, კრუნჩხვა, კონველსიური ტრემორი. სპაზმური დაავადება, კრუნჩხვითი დაავადება (მუნჯიდი 2000:796).

تاشانج (tašanno) [არ.] კანკალი, სხეულის ნაწილების კრუნჩხვები (მოინი 1375: 1088).

ლაყვა – არაბ. لاقوة – პირის მღერა და გამრუდება, საზოგადოდ, კრუნჩხვა (წიგნი სააქიმოდ 1936: 314).

არაბ. لاقوة/laqwāt – სამედ. დაავადება, რომელიც გავლენას ახდენს სახეზე და იწვევს ლოყის დამახინჯებას (მუნჯიდი 2000:1296).

لاقوة (larva(e)) [= არ. لاقوة] (მედ.) სახის ცალი მხარის დამბლა და კანკალი, რის შედეგადაც სახის ნახევარი ცალ მხარეს ბრუნდება და ტუჩები სათანადოდ ვეღარ მიდის ერთმანეთთან. დამბლის მხარის ქუთუთო კარგად არ იხურება (მოინი 1375: 3613).

მალჰამა – არაბ. مرهم – მარჰამ – მალამო (წიგნი სააქიმოდ 1936:315).

არაბ. مرهم /marḥam სამედიცინო მალამო, რომელიც გამოიყენება წყლულებზე, ჭრილობებზე. ნაერთი, რომელიც დამზადებულია სხვადასხვა ელემენტებისგან და გამოიყენება შესაზელად, როგორც ვაზელინი და გლიცერინი (მუნჯიდი 2000:1336).

مرهم (marham) [არ.] ჭრილობაზე დასადები ან წასასმელი მალამო (მოინი 1375: 4051).

მასრუ – არაბ. مسرور – ეპილეპტიკი (წიგნი სააქიმოდ 1936:316).

არაბ. مسرور maáræ – ეპილეფსიით დაავადებული (მუნჯიდი 2000:829).

مسرور (masrūr) [არ.] ეპილეფსიით დაავადებული (მოინი 1375: 4172).

მაჯუნი – არაბ. معجون – წამლის შეზავებულობა (შემადგენლობა) (წიგნი სააქიმოდ 1936:316).

არაბ. معجون /maʕæn – პასტა, ცომი, მოზელა, შეზავება (მუნჯიდი 2000:951).

معجون (maʕjūn) [არ.] მედ. წამალი, რომელიც რამდენიმე წამალ-კომპონენტის შეერთებითაა მიღებული (მოინი 1375: 4223).

მოჰრიყა – არაბ. محرق – მოჰრიყ – საკ. მწველი, სულის შემადრწუნებელი. აქედან محرقة მოჰრიყა – ტიფი, სახადი, ცხრო, ციებ-ციხელება (წიგნი სააქიმოდ 1936:318).

არაბ. محرقه /mahriqat დაწვა, ცეცხლის მოდება (მუნჯიდი 2000:274).

محرقة (mohreya(e)) [არ.] (მედ.) ტიფი (მოინი 1375: 3903).

მოსპილი – არაბ. مسهل მოსპილი – გამოთქმა ირანულია – საფადარათო, სასაქმებელი (წიგნი სააქიმოდ 1936:318).

არაბ. مسهل/mushil - საფადარათო საშუალება (მუნჯიდი 2000:716).

مسهل (moshel) [არ.] საფადარათო საშუალება; წამალი, რომელიც ასუფთავებს კუჭ-ნაწლავს და გამოდევნის ნარჩენებს (მოინი 1375: 4124).

მუმია – ირან. موميا მუმია – საცხი (მაზი), რომელიც ჰკურნებს გადატეხილ ძვალს, ის ფისისგან. Bitumen Arabicum (წიგნი სააქიმოდ 1936:318).

არაბ. موميا/mæmia- ცვილი, პუსტულები, ანუ ყვავილის ყველაზე მძიმე ფორმა, რომელიც მთელ სხეულს ერთ წყლულად აქცევს. გაქვავებული (მუნჯიდი 2000:1367).

موميا (mūmiyā) (არაბიზ. სარსული موم-დან) მინერალური ფისი; პასტის მსგავსი ნივთიერება, რომელიც ძველ მედიცინაში გამოიყენებოდა მოტეხილობის, სახსრების ამოვარდნილობის, სისხლჩაქცევების და დაზიანებული ნერვის ან კუნთის სამკურნალოდ (მოინი 1375: 4451).

ნაბტი – არაბ. نبط نابد – მაჯასი. გულის, გინა მაჯასის ცემა. ფეთქა (წიგნი სააქიმოდ 1936:319).

არაბ. نبط/nabṬ პულისი, თრთოლვა, ფეთქვა, თანმიმდევრული მოძრაობა (მუნჯიდი 2000:1378).

نبط (nabz) [არ.] მედ. მაჯაზე მფეთქავი ვენა, რომლის შეხებით ექიმები პაციენტების მდგომარეობას იგებენ (მოინი 1375: 4665).

ნაბტალმოსთავი – არაბ. نبط المستوى ნაბტალმოსთავი – სწორი მაჯასი (წიგნი სააქიმოდ 1936:319).

არაბ. مستوى/mustawa დონე, ხასიათი, სწორი, თანაბარი. ნაბტალმოსთავა – თანაბარი, სწორი პულისი (მუნჯიდი 2000:730)

ნაბტალმომთალი – არაბ. نبط الممثل نابدალმომთალი – სრული მაჯასი (წიგნი სააქიმოდ 1936:319).

არაბ. ممثل/ mumaāil - სრული, მსგავსი, შესაბამისი, იდენტური (მუნჯიდი 2000:1320).

ნაბტალბატე – არაბ. نبط البتة ნაბტალბათათა – სააბბათა – სუსტი მაჯასი (წიგნი სააქიმოდ 1936:319).

არაბ. بطة/baāī' სუსტი, ნელი (მუნჯიდი 2000:97).

ნაბტასარი – არაბ. نبط الصريع ნაბტასარი – ჩქარი მაჯასი, ფიცხელი (წიგნი სააქიმოდ 1936:319).

არაბ. صريع/āarī- ჩქარი, სწრაფი (მუნჯიდი 2000: 664).

ნაბტალმუთა – არაბ. نبط الموت ნაბტალმუთა – საკ. მომაკვდავის მაჯასი, დაჭიმული და მაგრადმფეთქავი მაჯასი (წიგნი სააქიმოდ 1936:319).

არაბ. موت /mawt- სიკვდილი (მუნჯიდი 2000:1364).

ნაზლა – არაბ. نزل ნაზლა – სურდო, კატარი, ანთება, მყრალი სურდო (წიგნი სააქიმოდ 1936:320)

არაბ. نزل/nazlat – გაციება, ხველა, სიცხე, ლორწოვანი გარსის ანთება, რომელიც იწვევს ჭარბ სეკრეციას. ბრონქიტი (მუნჯიდი 2000: 1399).

نزل (nazla(e)) [= არ. نزل] (მედ.) ლორწოვანი გარსის მწვავე ან ქრონიკული ანთება ინფექციური სეკრეციის მატებით (მოინი 1375: 4710).

ნაზფი – არაბ. نظفة ნაზფა – გაწმენდა – ნაზფი წიდოვნობის გახსნა (ქალური დაავადება) (წიგნი სააქიმოდ 1936:320).

არაბ. نظفة /naġfat - გაწმენდა, ჭუჭყის მოშორება (მუნჯიდი 2000:1425).

نظفات (nazāfat) [= არ. نظافة] ჭუჭყისა და სიბინძურუსაგან გაწმენდა (მოინი 1375: 4748).

ნამლა – არაბ. نمل ნამლა – ჭიანჭველა – აქ ზაფრის ერთგვაროვანი სიმსივნეა (წიგნი სააქიმოდ 1936:320)

არაბ. نملة/namlat – დაბუყებული და მოდუნებული ფეხი (მუნჯიდი 2000:1454).

نملة (namlā(e)) [არ. نملة] ყვითელი ფერის წვრილი გამონაყარი, ერთმანეთთან ახლოს, ერთმანეთთან დაკავშირებული და გავრცელებული. იწვევს ქავილს და წვას, შეხებისას ცხელია და წვა ჭიანჭველას ნაკბენის წვას ჰგავს (დეჰხოდა 1342).

ნასორი – არაბ. ناسور/nasūr – საკ. ნახვრეტი, ღრუ, ფულურო: 1. უკანა ტნიდან სადენი ადგილი ბუასილის ან სხვა შემთხვევაში 2) პოლიპი ცხვირში (წიგნი სააქიმოდ 1936:320).

არაბ. ناسور/nasūr ფისტულა (მუნჯიდი 2000:1464).

ناسور (nāsūr) [=არ. ناصور] ჭრილობა, რომელიც ჩნდება თვალის კუთხეში, კბილის ძირში, ანუსის ხვრელთან და ა.შ.; ჩირქოვანი მასის გამოსასვლელი ხვრელი; ფისტულა (მოინი 1375: 4582).

ნეტფა – არაბ. نطفة ნუტფა – მამაკაცის თესლი, სპერმა. ზურგის თეთრი წყალი (წიგნი სააქიმოდ 1936:321).

არაბ. نطفة/nutfat – სპერმა (მუნჯიდი 2000: 1420).

نطفة (notfa(-e)) [= არ. نطفة] მედ. სპერმა; მიკროსკოპული ცოცხალი ნივთიერება, რომელიც არსებობს სპერმაში და საიდანაც ემბრიონი ვითარდება (მოინი 1375: 4745).

ნეკრისი – ირან. نقريس ნეკრეს – ფეხის თითთა და კოჭის ტკივილი (წიგნი სააქიმოდ 1936:321).

არაბ. نقريس/niwriš მემკვიდრეობითი და მტკივნეულად გამწვავებული ართრიტი. უმეტესად თითის, ფეხის ან მუხლის სახსრებში (მუნჯიდი 2000: 1442).

نقرس (ნეყრეს) [არ.] (მედ.) პოდაგრა, ეს არის ქრონიკული და ხშირად მემკვიდრეობითი დაავადება, რომელიც ვლინდება ფეხის ცერა თითის სახსრის ანთების სახით უეცრად და გრძელდება ზედიზედ რამდენიმე ღამის განმავლობაში, შემდეგ უმჯობესდება და გარკვეული დროის შემდეგ ისევ მეორდება (მოინი 1375: 4786).

რუაფი – არაბ. روافع რუაფ სისხლდენა ცხვირიდან (წიგნი სააქიმოდ 1936:323).

არაბ. روافع/ruʿāf – სისხლის წამოსვლა ცხვირიდან (მუნჯიდი 2000:564).

روافع (ruʿāf) [არ.] ცხვირიდან სისხლდენა (ომიდი 1389: 1240)

სამი – ირან. سام სამ – ანთება (წიგნი სააქიმოდ 1936:324).

سام (sām) [სპ.] მედ. 1. დაავადება; 2. ანთება, შეშუპება (მოინი 1375: 1808).

სარი – عرعر სარ' ეპილეფსია, ბნედა (მედ.) Epilepsia (წიგნი სააქიმოდ 1936:324).

არაბ. عرعر/sar' ნერვიულობა, რომელსაც თან ახლავს კომა და კრუნჩხვები, ეპილეფსია (მუნჯიდი 2000:829).

عرعر (sar') [არ.] (მედ.) გონების დაკარგვა, გულყრა, ეპილეფსია (მოინი 1375: 2145).

სარსამი – ირან. سرسام სარსამ (სარ – თავი და სამ – ანთება, სენი), ტვინის ანთება (წიგნი სააქიმოდ 1936:324).

არაბ. سرسام/sarsām- sirsām სიმსივნე ტვინის. მენინგიტი. სპარსულია (მუნჯიდი 2000:663).

سرسام (sarsām) [სპ.] (მედ.) მენინგიტი (მოინი 1375: 1866).

საქტა – არაბ. سكتة საქტა – დამბლა, ტვინის დაავადება (წიგნი სააქიმოდ 1936:324).

არაბ. سكتة/sakta დაავადება, რომლის დროსაც ორგანოები პარალიზებულია. უეცარი სიკვდილი ტვინში სისხლის სტაგნაციის ან გულის გაჩერების გამო. ცერებრალური ინსულტი. გონების და მოძრაობის უეცარი და სრული დაკარგვა, რომელიც გამოწვეულია თავის ტვინის არტერიებში სისხლის მიმოქცევის დარღვევით. გულის გაჩერება, რომელიც იწვევს სიკვდილს (მუნჯიდი 2000: 680).

سكتة (seqta(e)) [= არ. سكتة] (მედ.) ინსულტი; სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოს (ტვინი, გული, ფილტვი ან თირკმელი) ერთ-ერთი არტერიის უეცარი და მძიმე დარღვევა, რომელიც სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის... (მოინი 1375: 1897).

სევდა (სპ. სავდა) შავი ნაღველი, მალიხოლია, ანუ მელანქოლია. ძველი მედიცინის მოძღვრების, ერთი იმ ოთხ სითხეთაგანი, რომლებიც შედიან ადამიანის სხეულის

შედგენილობაში. ასეთებია: 1) შვი ნაღველი, ანუ სევდა; 2) ყვითელი ნაღველი, ანუ ზაფრა; 3) სისხლი და 4) ნახველი (უსწორო კარაბადინი 1940: 511).

სევდა (სევდისა) [არაბ. სავდა] დარდი, ნაღველი, კაეშანი, ვარამი (ქეგლ).

სევდა - არაბ. سواد/sawda' შავი ნაღველი, მელანქოლია, დეპრესია, მწუხარება, გულშეუხებელი მდგომარეობა. შავი, ბნელი, მძიმე სითხე (მუნჯიდი 2000: 720).

سواد (sawda' //souda') [არ., სპ. سواد] (მედ.) ერთ-ერთი იმ ელემენტებიდან, რომლისგანაც შედგება ადამიანის ელენთა; მელანქოლია (მოინი 1375: 1947).

სილი (არ. სილ) ჭლექი „ფილტვისა სიწყლოლე“ (უსწორო კარაბადინი 1940: 512).

არაბ. سئل/si'l ხველა ატეხა, ხიხინი, ხველა. ფილტვების დაავადება (მუნჯიდი: 672).

سل (sel) [= არ. sill] (მედ.) ეს არის ინფექციური და გადამდები დაავადება, რომელსაც შეუძლია დააზიანოს ყველა ორგანო, მაგრამ ყველაზე მეტად ფილტვები და ლიმფური კვანძები ზიანდება. მას იწვევს ბაქტერია, რომელსაც კოხის ბაცილი ეწოდება და რომელიც მდგრადია ალკოჰოლისა და მჟავას მიმართ. ეს ბაცილი არის დაავადებული ადამიანის ნახველში და ტუბერკულოზით დაავადებულ ორგანოებში (მოინი 1375: 1907).

სუბათი – არაბ. سبات سبات – ძილი. მოსვენება, ნამეტანი ძილი (სენია) (წიგნი სააქიმოდ 1936:326).

არაბ. سبات /subAt მედ. ღრმა ძილი, რომელიც არანორმალურად გრძელდება, როცა ადამიანი მთლიანად კარგავს გონებას. კომა, გონების დაკარგვა. სტაგნაციისა და უმოდრაობის მდგომარეობა – დროებითი (მუნჯიდი 2000:642).

سبات (sobāt) [არ.] 1. თავისა და კისრის ორივე მხარეს მდებარე არტერია; 2. [არ.] ძილი, მსუბუქი ძილი (მოინი 1375: 1814).

სუფუფი – არაბ. سوفوف – წამლის ფხვნილი (წიგნი სააქიმოდ 1936:326).

არაბ. سوفوف /sufaf ფხვნილი. ფხვნილისებრი წამალი ან ნებისმიერი წამალი, რომელიც მიიღება შერევის ან გაყინვის გარეშე (არამეულია) (მუნჯიდი 2000:675).

سوفوف (sofuf) [არ.] გამომშრალი და დაფუჭული წამალი, ნებისმიერი სახის სამკურნალო ფხვნილი (მოინი 1375: 1890).

ტაფდა – ირან. تافته თაფთა – გახურებული, ანთებული. იგივე არაბ. غذاء ლუდედ – resp. არაბ. غذاء – სიმსივნე, ბუბონი, ჯირკვალი (წიგნი სააქიმოდ 1936:327).

არაბ. Ouddat/غذاء ჯირკვალი, ორგანო (მუნჯიდი 2000:1045).

تافته (tafta(-e)) [სპ.] ძალიან გაცხელებული, ავარვარებული; სიმხურვალით გამლღვალი; გაღიზიანებული, განადგურებული (მოინი 1375: 1110).

ტიყა ნაფასი – Mala loctin – უნდა იყოს ირან. تانقي სივიწროვე და არაბ. نفس ნაფას – სულის თქმა, სუნთქვა. აქედან: თანგი ნაფასი – სუნთქვის სიმძნელე, ფილტვის ავადმყოფობა (წიგნი სააქიმოდ 1936:327).

ضيق النفس (zairalnafas) [არ.] გულმკერდის არეში ტკივილი, როცა ადამიანს სუნთქვა უჭირს; ქოშინი; ასთმა (ომიდი: 1653).

ფეტყის ქარი – არაბ. فتق فتق – ფუმი, ტრიკი فتق ب هاد – ე – ფატყ – ფეტყის (ფუმის) ქარი. თიაქარი (წიგნი სააქიმოდ 1936: 329).

არაბ. فتق/fatq (მედ.) თიაქარი. ნაწლავის ნაწილის გამოსვლა. თიაქარის შედეგად გამოწვეული სიმსივნე (მუნჯიდი 2000:1075).

فتق (fatq) [არ.] თიაქარი; გამობურცულობა და სიმსივნე, რომელიც გვხვდება ნაწლავის ნაწილის თავისი თავდაპირველი ადგილიდან გამობურცვის გამო საზარდულის ან ჭიპის არეში (მოინი 1375: 2484).

ფილენჯი – არაბ. فلف ფალჯ – დამბლა. ფელიჯი, ფალჯი, ფელინჯი (წიგნი სააქიმოდ 1936:329).

არაბ. فالف /fAlif დამბლასთან დაკავშირებული მდგომარეობა ერთი ნახევარსფეროს სიგრძეზე. (არამეული) პარალიზება (მუნჯიდი 2000:1107).

فالف (falaj) [არ.] დამბლა; ხელებისა და ფეხების დაბუყება; პარალიზება (მოინი 1375: 2565).

ქალაფი – არაბ. كلف ქალაფ. ვნება, კანის დაავადება, ჭორფლი (წიგნი სააქიმოდ 1936:330).

არაბ. كلف /kalaf ჭორფლი. სახეზე ჭორფლის ჰქონდა (მუნჯიდი 2000:1243).

كلف (kalaf) [არ.] მზის ან მთვარის ლაქა; ლაქა, რომელიც ადამიანის სახეზე ჩნდება (მოინი 1375: 3031).

ქუმნა – თვალის დაავადება, თვალის დაბინდვა – შეადარე არაბ. كمن ქამაჰ – დაბინდულ იქმნა (წიგნი სააქიმოდ 1936:331).

არაბ. كمنه /kamnat მხედველობის დაბნელება ან ქუთუთოების შემუპება; დაავადება, რომელიც აზიანებს ქუთუთოებს და იწვევს გაწითლებას (მუნჯიდი 2000: 918).

كمن (komna(e)) [არ.] თვალის სიწითლე და ქუთუთოების შემუპება, რომელსაც ახლავს თვალის ქავილი (დეჰხოდა 1342).

ლიში – არაბ. غش ლაშ – გულის წასვლა, მიბნედა, დაბნედილობა (წიგნი სააქიმოდ 1936:331).

არაბ. غشي /Ōašī' - გონების დაკარგვა, ძლიერი გავლენით გამოწვეული გულის წასვლა (მუნჯიდი 2000:1056).

غشي (raš) [არ. غشى-დან] გონების დაკარგვა; გულის წასვლა, ქრონიკული ნევროლოგიური დაავადება, რომელიც ხასიათდება პერიოდული ცერებრალური და ნევროლოგიური შეტევებით და გულყრით (მოინი 1375: 2416).

ლუდა – არაბ. لودا – ხორცმეტი, იგივე ლუდედი. არაბ. لود – ლუდედ – ბუბონი, ჯირკვალი, ჯირკვლის სიმსივნე, ხორცმეტი (წიგნი სააქიმოდ 1936:331).

არაბ. لودا - لودا /Ūdat - Ūdad ჯირკვალი. ორგანო სხეულში, რომელიც გამოჰყოფს სპეციალურ ნივთიერებებს კონკრეტული ფუნქციის შესასრულებლად (მუნჯიდი 2000:1045).

لود (rodde(e)) [= არ. لود] ჯირკვლები; ორგანო, რომელიც არის სფეროს, ელიფსის, მილისებური ან ლობიოს ფორმის და გამოყოფს გარკვეულ ნივთიერებას (მოინი 1375: 2391).

შაყი – შაკიკი. არაბ. شاق شاقيا. შაკიკ – თავის ტკივილი, შაკიკი (წიგნი სააქიმოდ 1936:334).

არაბ. شاقية/šaqīqat - შაკიკის შეტევა. თავის ტკივილი (მუნჯიდი 2000:785).

شاقية (šavira(e)) [= არ. شاقية] (მედ.) ტკივილი თავის ნახევარში (მოინი 1375: 2055).

ხიდრი – არაბ. خدر – სხეულის რომელიმე ასოს დაბუჟება (წიგნი სააქიმოდ 1936:337).

არაბ. خدر /Ōidr – გაშეშება, დაბუჟება, რომელიც კიდურს აზიანებს. სხეულის კიდურები უმოძრაო ხდება. ლეთარგიისა და მოდუნების მდგომარეობა (მუნჯიდი 2000:367).

خدر (xadar) [არ.] მოდუნება, დაბუჟება, სხეულის ნაწილების მოშვება-მოდუნება (მოინი 1375: 1402).

ხარხარი – ირან. خرخر ხორხორი – ხროტინი ან ხმაური სუნთქვის დროს (წიგნი სააქიმოდ 1936: 337).

არაბ. خرخر/ŌarŌar ღრიალი. ნესტოებში სუნთქვა შეიკრა (მუნჯიდი 2000:375)

خرخر (xor-xor//xar-xar) [სპ.] ხმა, რომელიც გამოდის შევიწროებული ყელიდან ან მძინარე ადამიანის ყელიდან (მოინი 1375: 1408).

ხრცოლა ფავაყი – არაბ. فواق ფუვაყი – სლოკინი. საქბიაქი ირანულად (წიგნი სააქიმოდ 1936:338).

არაბ. فواق /fawÁq- სლოკინი. ხმამაღალი, განმეორებითი ოხვრა, სლოკინი, რასაც მომავლად ადამიანი სიკვდილის ტანჯვის დროს იღებს (მუნჯიდი 2000:1115).

فواق (fovār) სლოკინი (მოინი 1375: 2582).

ხუნდამორდა – ირან. خونداموردا ხუნდამორდა – მიმკვდარი სისხლი. ე.ი ჩაქცეული სისხლი თვალში (წიგნი სააქიმოდ 1936:338).

[სპ.] خون (xūn) სისხლი; مرداد (morda(-e)) მკვდარი (მოინი 1375: 1462).

ხუნაყი – არაბ. خنق ხუნაყ – ხუნაგი – ნუშისგვარი ჯირკვლების ანთება. დიქტერიტი. ყელის ტკივილი (წიგნი სააქიმოდ 1936:338).

ხუნაყი – خنق /ŪnĀq - დიფტერია. გადამდები დაავადება, რომელიც აზიანებს ყელს და ხორხს. ქმნის ცრუ გარსს. სიმპტომებში შედის ხიხინი და მუდმივი ხველა. ბავშვებში მკურნალობა გულისხმობს პროფილაქტიკურ მედიკამენტებს (არამეული). არსებობს გულის ხუნაყიც. გულის დაავადება (მუნჯიდი 2000:431).

خنق (xonāq) [არაბიზ. خنق] დიფტერია (მოინი 1375: 1442).

ჯუალქალბი – არაბ. جوجو სიმშილი და არაბ. كلب ქალბ – ძაღლი – აქედან ჯუალ ქალბი – ძღომილისა სიმშილი. სავ. ძაღლის სიმშილი. გაუმადლობის სენი (წიგნი სააქიმოდ 1936:338).

არაბ. Ōaw÷/عجمიშმილი كلب/kalb ძაღლი (მუნჯიდი 2000:337;1241).

جوجو (jū) [არ.] შიმშილი (მოინი 1375: 1254);; كلب kalb [არ.] ძაღლი (მოინი 1375: 3026).

ჰადბად – არაბ. حادبჰადბ – სიკუხე ავადმყოფობა (წიგნი სააქიმოდ 1936:338).

არაბ. حادب/hadab - კუხი. კუხი. ზურგი აეწია და მკერდი ჩაუვარდა. ხერხემლის დეფორმაცია (მუნჯიდი 2000:256).

حادب (hadab) [არ.] 1. კუხი; 2. მაღალი ადგილი, გორაკი (მოინი 1375: 1343).

ჰომრა – არაბ. حمرةჰომრა – სიწითლე – სიმსივნე ცეცხლით დამწვრის მაგვარი (წიგნი სააქიმოდ 1936:339).

არაბ. hamra'/ءحمرة წითელი ფერი. სისხლისფერის და მსგავსი. გადამდები დაავადება, რომელიც გამოწვეულია სტრეპტოკოკური ბაქტერიით და ხასიათდება კანის ანთებით, რომელიც კონკრეტულად აზიანებს დერმას. (მედ.) ანთება. სიწითლე التهاب حمروي /iltihĀb Ōamrawī (მუნჯიდი 2000:324).

حمرات (homrat) [= არ. حمرة] 1. სიწითლე; 2. სხეულის შემუშების ერთ-ერთი სახე, წითელი ქარი (მოინი 1375: 1373).

ჰაიჰა – حياჰაჰაიჰა – ხოლერა – თუხმა. ირან. تخمه თოხმა – საჭმლის მოუნელებლობა. სტომაქის აშლილობა (წიგნი სააქიმოდ 1936:339).

არაბ. haiĒat/هياჰაჰაიჰა ქოლერის დიარეა. სუსტი ხასიათის დიარეა. საჭმლის მომუნელებელი სისტემის დაავადება. ქოლერა (მუნჯიდი 2000:1500).

هياჰაჰაიჰა (hayza(hey-)) [არ.] არასრულფასოვანი კვების გამო ლებინებით გამოწვეული დიარეა (მოინი 1375: 5233).

تخمه (toxma(e)) [არ.] საჭმლის მონელების დარღვევა, დიარეა (მოინი 1375: 1054).

ამრიგად, ჩვენ მიერ „წიგნი სააქიმოდში“ ამოკრებილი არაბულ-სპარსული ლექსიკური ერთეულები თანხმოდანთა და ხმოდანთა სრული დაცვითაა შემოსული ქართულ ენაში. მოცემული ტერმინები შინაარსობრივად სრულად ემთხვევა არაბულ სამედიცინო ტერმინოლოგიას. ყველა ლექსიკური ერთეული არაბულიდან შესულია სპარსულ ენაში, თუმცა „წიგნი სააქიმოდში“ დაცულია სიტყვის არაბული წაკითხვა, შესაბამისად, ტექსტში მეტად იგრძნობა არაბული გავლენა. განხილული ლექსიკიდან ქართულისთვის ზოგიერთი უკვე არქაული ფორმაა, თუმცა ნაწილი დღესაც აქტიურად გამოიყენება სამედიცინო ლიტერატურაში.

საკვანძო სიტყვები: არაბულ-სპარსული სამედიცინო ტერმინი, „წიგნი სააქიმოდ“

ლიტერატურა:

1. ალ-თუნჯი (1988): التونجي م. معجم المعربات الفارسية في اللغة العربية. دمشق
2. დეჰდა ალი აკირ, لغت نامه دهخدا, مؤسسه انتشارات دانشگاه تهران (1342): دهخدا علی اکیر، لغت نامه دهخدا، مؤسسه انتشارات دانشگاه تهران
3. მოინი მ. (1375): معین، محمد. فرهنگ فارسی (متوسط). مؤسسه انتشارات امیر کبیر. تهران.
4. მუნჯიდი (2000): المنجد في اللغة العربية المعاصرة. بيروت

5. ომიდი ჰ. (1389): انتشارات مجید، فرهنگ فارسی عمید.
6. ქეგელ (1950-64): ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ტ. I-VIII (პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.
7. წიგნი სააკიმოი (1936). კოტეტიშვილი ლ. . „მედიცინა ძველ საქართველოში XIII საუკუნე“. ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა, სამეცნიერო სექტორი.

Sophio Imedadze, Maia Shishinashvili

Akaki Tsereteli state University

e-mail: s.imedadze@hotmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.16>

**For several Arabic-Persian medical terms according to
„Tsigni Saakimoy“
Abstract**

„Tsigni Saakimoy“ (The Book of Medicine) is one of the earliest surviving Georgian medical manuscripts of the thirteenth century. The work was studied and published in 1936 by Dr. Lado Kotetishvili. Based on textual and terminological analysis, scholars have argued that the original text was written in Arabic by an Arab physician. This conclusion is supported by the predominance of Arabic medical terminology, the ethnic composition of the cited authorities (mainly Arab physicians), and the absence of Persian equivalents alongside many Arabic terms, suggesting that Persian elements were introduced by later scribes in the thirteenth–fourteenth centuries. Ekvtime Takaishvili dated the Arabic original between the eleventh and thirteenth centuries and noted its dependence on the Canon of Medicine by Avicenna. Ivane Javakhishvili identified 1206 as the date of its Georgian translation and attributed it to Khoja. This study extracts Arabic–Persian medical terminology from the 1936 edition and verifies it using Arabic and Persian lexicographical sources. The findings demonstrate that most lexical units entered Georgian while preserving their original phonetic structure; although some forms are archaic, many remain in active use in modern medical terminology.

Keywords: Arabic-Persian medical Terms, „Tsigni Saakimoy“